ნიკა შენგელია
დავით ღაღანიძე

საფონდო და სავალუტო ბაზრის

ტექნიკური და ფუნდამენტალური ანალიზი

თბილისი

2019

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისათვის შედარებით ახალ და დინამიურად განვითარებადი დისციპლინის - საბირჟო ვაჭრობის გაღრმავებულ კურსს. მასში განხილულია საბირჟო ვაჭრობის ტექნოლოგია, ბირჟაზე მოვაჭრეთა(ტრეიდერთა) ფსიქოლოგია, ტექნიკური ანალიზი და მისი პოსტულატები, იაპონური სანთლებით ანალიზი, დოუს თეორია (ფასიანი ქაღალდების ბაზრისთვის), ბაზრის დინამიკის ამსახველი გრაფიკები, ფასების მოძრაობა და ბაზრის ტენდენცია (დაღმავალი და აღმავალი ტრენდები), ბაზარზე შესვლის მომეტის შერჩევა, ბაზარზე არსებული ფასების ტენდენციის გარდატეხის მოდელების ფართო სპექტრი.

ნაშრომში აგრეთვე მოცემულია ბაზრის მდგომარეობის ფუნდამენტალური ანალიზი, კერძოდ წარმოდგენილია ბაზრის მდგომარეობაზე მოქმედი ფუნდამენტალური ფაქტორები (ძირითადად მაკროეკონომიკური მაჩვენებლები-უმუშევრობის დონე, ინფლაციის დონე, მოსახლეობის შემოსავლები, მიწოდება-მოთხოვნა, ბანკის სარგებლის პროცენტი და სხვა) და ბაზრის რეაქცია მათზე. განხილულია გარიგებათა მოცულობა და ღია პოზიციათა ინტერესი ფიუჩერსული კონტრაქტებით ვაჭრობისას.

აღნიშნულ ნაშრომში გრაფიკულ ანალიზსა და კომპიუტერული ანალიზის ნაწილში გამოყენებულია თარგმანი ჯონ მერფისა და ალექსანდრ ელდერის ნაშრომენიდან, ხოლო იაპონური სანთლებით ანალიზის ნაწილში კი სტივ ნისონისა და გრეგორი მორისის ნაშრომებიდან.

ეს ნაშრომი თავისი შინაარსის სიღრმით და სისრულით პირველი ქართული გამოცემაა და იგი გამოადგება როგორც ფინანსების სპეციალობის სტუდენტებს, ისე ბირჟაზე მოვაჭრე ტრეიდერებს.

რედაქტორი: მარინა ჟღენტი
რეცენზენტი: ზაირა ღუდუშაური
ყდის დიზაინერი: მარი ვერულაშვილი
ტექნიკური უზრუნველყოფა: ნინო სუარიძე

ქართული გამოცემა © საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019

მისამართი: კოსტავს ქ. 77ა, თბილისი 0171, საქართველო.
ტელ.: 032 2 55 22 22

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არცერთი ნაწილი არანაირი ფორმით ან საშუალებით არ შეიძლება გამოყენებული იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ISBN 978-9941-9644-8-0

დაიბეჭდა საქართველოში.

ᲗᲘᲗᲜᲘ I

სარჩევი

შესავალი....7
თავი 1. საბირჟო ვაჭრობის ფსიქოლოგია....9
თავი 2. ძირითადი ტერმინები....44
თავი 3. გრაფიკული ტექნიკური ანალიზი....50
თავი 4. დოუს თეორია....53
თავი 5 გრაფიკები....57
თავი 6. ტენდენცია და ძირითადი მახასიათებლები....63
თავი 7. ჭეშმარიტი და ცრუ გარღვევები....74
თავი 8. ტრენდის ხაზები....81
თავი 9 არხის ხაზი....94
თავი 10. ნახტომი....97
თავი 11. ტენდენციის გარდატეხის ძირითადი მოდელები....101
თავი 12. „თავისა და მხრების“ გადაბრუნებული მოდელი....110
თავი 13. ტენდენციის გაგრძელების მოდელები....125
თავი 14. „დროშისა“ და „ალმის“ მოდელები....137
თავი 15. „სოლის“ მოდელი....140
თავი 16. მართკუთხედის მოდელი....142
თავი 17. მოზომვითი სვლა....145
თავი 18. ფუნდამენტალური ანალიზი....150
თავი 19. ლეონარდო ფიბონაჩის ინსტრუმენტი....234
თავი 20. მოცულობა და ღია პოზიციათა ინტერესი ფიუჩერსული კონტრაქტებით ვაჭრობისას....256
თავი 21. კომპიუტერული ანალიზი 275
წიგნი II. ტექნიკური ანალიზი იაპონური სანთლების გამოყენებით....307
თავი I. ძირითადი დებულებები....309
თავი II. ტენდენციის შემობრუნების მოდელები....338
თავი III. ტენდენციის გაგრძელების მოდელები....456
თავი VI. დასკვნები....481
დანართი. იაპონური სანთლების ანალიზი....485
დანართი. დამწყების შეცდომები....536
გამოყენებული ლიტერატურა....540

შესავალი

საბირჟო ვაჭრობა

საბირჟო ვაჭრობის სამყაროში შესვლით, შევდივართ სრულიად განხვავებული თამაშის წესებში, ცხოვრების ის წესები, რითაც ვცხოვრობთ რეალობაში ბირჟაზე ვაჭრობისას არ გამოგვადგება, რადგან მხოლოდ წაგებებს მოგვიტანს. ჩვენი მოტივაცია, ვეცადოთ მხოლოდ მოვიგოთ ბირჟაზე, შეიძლება ჩვენი საშიში მტერი აღმოჩნდეს.

იმისათვის რომ ბირჟაზე წარმატება ვნახოთ, უნდა შევქმნათ ჩვენი საკუთარი სისტემა. მოვიტან ორ მაგალითს, რომელიც დაგვნახებს, რომ ის მოტივაცია, უნარ-ჩვევები და ქცევები, რომლითაც ვცხოვრობთ, ბირჟაზე ვაჭრობისას არ მუშაობს.

ბევრი პიროვნება ბირჟაზე მოღვაწეობას იმიტომ იწყებს, რომ თავისი ცხოვრების განმავლობაში კარიერაში ან სხვა ბიზნესში წარმატებას მიაღწია, გარკვეული დროის შემდეგ ეს წარმატებები მისთვის მოსაწყენი ხდება. ის იწყებს ახალი გამოწვევების ძებნას და ბირჟაზე მუშაობა ხდება მისთვის ახალი მოტივაცია. თუ ასეთი პიროვნება დაიწყებს ბირჟაზე ვაჭრობას, ისევე როგორც სხვა ბევრი ტრეიდერი, ივაჭრებს უსისტემოდ, ასეთი ვაჭრობა არის „ემოციური ვაჭრობა“, იმიტომ, რომ გადაწყვეტილებები, რომელსაც ის მიიღებს, უმეტეს შემთხვევაში, იქნება ემოციური. ასე რომ ძირითადი მოტივი შეიძლება ფორმულირებული იყოს შემდეგნაირად: „ადამიანს უბრალოდ მოწყინდა და მას უნდა ახალი მოტივაცია და მისთვის ეს მოტივაცია შეიძლება იყოს ბირჟაზე ვაჭრობა“. ასეთი მოტივაციის საფუძველზე განხორციელებული ვაჭრობა ემოციურ გადაწყვეტილებებზეა დამყარებული და ამდენად მაღალრისკიანია, ტრეიდერმა კი ბირჟაზე უნდა იმუშაოს დაბალი რისკით. ამიტომ პირველი კითხვა, რომელიც ტრეიდერმა თავის თავს უნდა დაუსვას არის — „რატომ ვვაჭრობ მე ბირჟაზე?“ ამ კითხვაზე პასუხი ტრეიდერს დაეხმარება დაინახოს თავისი შეცდომები და შემდგომში გამოასწოროს იგი.

მეორე მაგალითი თანამედროვე ცხოვრებაში ყოველი ჩვენგანი მიისწრაფის თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ. როგორ ვიქცევით როდესაც გვთავაზობენ ჩვენთვის მიმზიდველ, მაცთუნებელ წინადადებას? — ჩვენ ვიღებთ მას. როგორ ვიქცევით რეალურ ცხოვრებაში, როდესაც ვაწყდებით პრობლემებს, არასასურველ პერსპექტივებს? ჩვენ ვცდილობთ დროის გაწელვას, რომ ავიცდინოთ ეს პრობლემები და შესუსტდეს არასასურველი პერსპექტივები. რა შედეგს გამოიღებს ბაზარზე ასეთი ფსიქოლოგიით მუშაობა? შედეგი იქნება ის, რომ ჩვენ ძალიან სწრაფად დავაფიქსირებთ მოგებებს, ხოლო წამგებიან პოზიციებს შევინარჩუნებთ ძალიან დიდხანს. დიახ, ამით თქვენ შეკვეცავთ მოგებებს, ხოლი ზარალი გაიზარდება!

რაც ჩვეულებრივ ცხოვრებაში მუშაობს - ბირჟაზე ის არ იმუშავებს. ეს ორი მაგალითი არის დასტური იმისა, რომ თითოეულმა ტრეიდერმა უნდა შექმნას თავისი სისტემა, თავისი „სავაჭრო პირამიდა“.

თუ თქვენ შეძლებთ შექმნათ თქვენი „სავაჭრო პირამიდა“, მაშინ შეგიძლიათ იყოთ სრულიად თავისუფალი, იცხოვროთ და იმუშაოთ დედამიწის ნებისმიერ კუთხეში და იყოთ ფინანსურად უზრუნველყოფილი. ეს არის ბირჟაზე წარმატებული მოთამაშის (ტრეიდერის) ცხოვრება. ბევრი ესწრფის მას, მაგრამ უმართლებს მხოლოდ ზოგიერთს. დილეტანტი უყურებს მონიტორის ეკრანს, კოტირებათა ციფრებს და მას უკვე ელანდება მილიონობით დოლარის მომწვანო სამოსი. იგი იშვერს მათკენ ხელს და აგებს. იშვერს

ხელმეორედ და ამჯერად აგებს კიდევ უფრო მეტს. ადამიანები იმიტომ აგებენ ბირჟაზე, რომ ვერ ფლობენ საკუთარ თავს, ვაჭრობენ ემოციურად, არ აქვთ საკუთარი სავაჭრო სისტემა.

ბირჟაზე ვაჭრობა უნდა წარმოებდეს ფუნდამენტალური ან ტექნიკური ანალიზის საფუძველზე. ზოგიერთი ვაჭრობს ინტუიციაზე, პოლიტიკური და ეკონომიკური ტენდენციების ცოდნაზე, „კონფიდენციალურ ინფორმაციაზე“ დაყრდნობით, ზოგიერთი კი მოქმედებს მხოლოდ ბედის იმედით. ათასობით ტრეიდერის ასეთი გადაწყვეტილებები ეყრდნობა გარკვეულ ემოციებს, ერთიანდება და ქმნის დიდ ფსიქოლოგიურ ტალღებს, რომლებიც ხან მაღლა, ხან დაბლა მიაქანებს საბირჟო კოტირებებს. ამიტომ ბირჟაზე წარმატების მიღწევისათვის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია საბირჟო ბრბოს ფსიქოლოგიური ტალღის მიმართულების ზუსტი გამოცნობა და ამ მიმართულებით ვაჭრობა. ყველა წარმატებულმა პროფესიონალმა იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიას, საკუთარი ემოციების მართვას საბირჟო ვაჭრობის დროს. დილეტანტები კი ამას უგულვებელყოფენ და ამიტომაც უმეტესად აგებენ. საბირჟო ვაჭრობაში წარმატების მიღწევა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მას ძალიან სერიოზულ საქმედ აღვიქვამთ. ვაჭრობა, რომელსაც მართავს მხოლოდ ემოციები, განწირულია.

წარმატებისათვის საჭიროა ძალიან მომჭირნედ მოვექცეთ ფინანსებს ჩვენს საბირჟო ანგარიშზე. კარგი ტრეიდერი ყოველთვის აკონტროლებს თავის კაპიტალს, ისევე როგორც გამოცდილი აკვალანგისტი ჟანგბადის მარაგს და წნევას საკუთარ აკვალანგში.

საბირჟო ვაჭრობის ფსიქოლოგია

თავი 1. ინდივიდუალური ფსიქოლოგია.

რატომ ვაჭრობენ ბირჟაზე

ბირჟაზე ვაჭრობა, ერთი შეხედვით, ადვილი საქმე ჩანს, მაგრამ ეს სიმარტივე მოჩვენებითია. ახალბედა, რომელიც დასაწყისშივე მიაღწევს წარმატებას, უკვე მიიჩნევს თავს დაუმარცხებელ ოსტატად, მოქმედებს დაუფიქრებლად, კაპიტალს ანგარიშს არ უწევს და აგებს ბოლომდე. ბირჟაზე ხვდებიან სხვადასხვა გზებით, ზოგჯერ ლოგიკურად, მაგრამ უფრო ხშირად პირიქით. ბირჟა ეს არის შანსი „ხელის ერთი მოსმით“ დიდი ფულის შოვნისა. ფული კი ადამიანთა უმრავლესობისათვის თავისუფლებაა.

საბირჟო საქმის ათვისების შემდეგ ხდები საკუთარი თავის მეპატრონე: იცხოვრე, სადაც გინდა, იმუშავე, სადაც გინდა თანაც უფროსების გარეშე. ეს არის მომხიბლავი გონებრივი საქმიანობა-ჭადრაკი, პოკერი და კროსვორდი ერთად აღებული.

საბირჟო ვაჭრობა იზიდავს გაბედულებს და აშინებს ფრთხილებს (ვისაც, დღევანდელი კვერცხი ურჩევნია). ჩვეულებრივი ადამიანი, ობივატელი ცხოვრობს ერთფეროვნულად: საუზმე, სამსახური, შუადღის შესვენება, საღამოს-სახლი, ვახშამი, ტელევიზორი და ძილი. თავისი ანაზღაურებიდან იქმნის დანაზოგს, რომელსაც შემდეგ ანდობს ბანკს. ხოლო ბირჟაზე მოვაჭრისათვის ნებისმიერი საათი სამუშაოა და ის თავის კაპიტალს გარკვეული რისკის ქვეშ აყენებს. ასეთი რისკით პროფესიონალი ტრეიდერი ტოვებს აწყმოს გათელილ გზას და მომავლის განუსაზღვრელობას ესწრაფვის.

საკუთარი პოტენციალის მიღწევა.

ბევრ ადამიანს თანდაყოლილი სურვილი აქვს გამოავლინოს თავისი თავი, ნიჭი და შესაძლებლობები. ამ ნიჭის და უნარის გამოცდის ერთ-ერთი ბრწყინვალე საშუალებაა — ბირჟა. ბირჟაზე ვაჭრობა არის სპორტული სიამოვნებაც, რომლის საშუალებითაც შეიძლება მიიღოთ დიდი მოგებაც.

კარგი მოვაჭრეები ჩვეულებრივ შრომისმოყვარენი და მახვილგონიერნი არიან. მათ აინტერესებს ყველაფერი ახალი, როგორი საოცარიც არ უნდა იყოს ის. მათი მიზანია არა ფული, არამედ სწორი, ჭკვიანური ვაჭრობა, რაც შედეგად რა თქმა უნდა ფულსაც მოიტანს. წარმატებული ტრეიდერები დაუღალავად სრულყოფენ თავიანთ ოსტატობას. პიროვნული სრულყოფა მათვის ფულზე უფრო მნიშვნელოვანია. ბირჟაზე ერთ-ერთ წარმატებულ მოვაჭრეს უთქვამს: — „თუ მე მოვახერხებ ჩემი პროფესიონალიზმის სრულყოფას წელიწადში ნახევარი პროცენტით მაინც, მაშინ გენიოსად მოვკვდები“, ხოლო მეორე პროფესიონალმა თქვა: „რამდენიც არ უნდა მიყუროთ, მაინც ვერ მიხვდებით, დღეს მე ბირჟაზე ორი ათასი დოლარი წავაგე თუ მოვიგე“, ე.ი. იგი უკვე იმ დონეზეა, როდესაც მოგება არაა ტრიუმფი, ხოლო წაგება — სირცხვილი. ის მთლიანად ვაჭრობის პროცესშია, ის ახდენს ამით თავისი ოსტატობის სრულყოფას და ფული ვერ მბრძანებლობს მის გრძნობებზე.

უწესო მძღოლები ხშირად ხვდებიან ავარიაში და ამით თავიანთ მანქანებს აზიანებენ. ასევე „მოჯირითე“ ტრეიდერები ღუპავენ თავიანთ ანგარიშებს. ბირჟა - ეს არის ზღვა შესაძლებლობებისა, სადაც შეიძლება როგორც ავნო საკუთარ თავს, ისე მიაღწიო პოტენციალის მწვერვალებს.

წარმატებული მოვაჭრე — რეალისტია. მან იცის, რას ფლობს და რას — არა. ის ნათლად ხედავს, რა ხდება და იცის როგორ მოიქცეს ამა თუ იმ შემთხვევაში. ის საღად აფასებს საბირჟო სიტუაციას და ემოციების მოთოკვით აგებს რეალურ გეგმებს. ილუზიები არ არის პროფესიონალი მოთამაშის თვისება.

დილეტანტი კი, მოახდენს რა რამოდენიმე წარუმატებელ ოპერაციას ბირჟაზე და დაკარგავს რაღაც თანხას, ვარდება პანიკაში. მისი წარმოდგენები ბირჟის შესახებ იღებს უფრო და უფრო დამახინჯებულ ფორმებს. წარუმატებელ მოვაჭრეებს ახასიათებთ ბევრი ფანტაზია ყიდვა-გაყიდვასა და გარიგებების თაობაზე. ამიტომ წარმატებულმა მოვაჭრემ უნდა გააცნობიეროს თავისი ფანტაზიები და საბოლოო ჯამში დაემშვიდობოს მას.

მითი საბირჟო „საიდუმლოებებზე“ (Brein Myth)

უიღბლო ტრეიდერისგან შეიძლება ხშირად გაიგოთ: მე წავაგე იმიტომ, რომ არ ვიცოდი ვაჭრობის საიდუმლოებანი. ბევრი მათგანი ფიქრობს, თითქოს წარმატებულმა მოთამაშეებმა იციან რაღაც განსაკუთრებული წესები. ამიტომ ისინი თანახმანი არიან გადაიხადონ დიდი თანხა და შეიძინონ საბირჟო ვაჭრობის „უტყუარი“ გამოცდილი კომპიუტერული პროგრამები. როდესაც ეს არ გაუმართლებთ, იწყებენ ახალი, მეცნიერულ საფუძველზე გათვლილი პროგრამების ძებნას, რომელშიც იხდიან საკმაოდ დიდ თანხას.

ისინი ვერ ხვდებიან, რომ ბირჟაზე ვაჭრობა სულაც არ არის რაღაც განსაკუთრებული სიბრძნე. სინამდვილეში წარმატებულად მოვაჭრენი, ჩვეულებრივად კარგად მოაზროვნე ადამიანები არიან, სულაც არ არის აუცილებელი იყო ინტელექტუალი. ბევრ მათგანს არ დაუმთავრებია კოლეჯი, ზოგმა კი სკოლაც მიატოვა. საბირჟო ვაჭრობა ხშირად იზიდავს წარმატებულ ბიზნესმენებს და თავისუფალი პროფესიის ადამიანებს. საბროკერო ფირმის საშუალო კლიენტის სახე ასეთია: ორმოცდაათ წლამდე ცოლშვილიანი მამაკაცი უმაღლესი განათლებით. ბევრს აქვს სამეცნიერო ხარისხი ან საკუთარი ფირმა. ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი ინჟინრები და ფერმერები არიან.

მაგრამ რატომ ხდება რომ ეს თავის საქმეში წარმატებული ადამიანები აგებენ ბირჟაზე? საქმე იმაშია, რომ ბირჟაზე წარმატების საწინდარი იმალება არა რაღაც განსაკუთრებულ სიბრძნეში, არა რაღაც საიდუმლოებაში და რაღა თქმა უნდა, არა განათლებაში, არამედ საქმე მხოლოდ პროფესიონალიზმშია.

მითი არასაკმარის კაპიტალზე

ბევრ უიღბლოს ჰგონია, რომ თუ ექნება დიდი სამარჟო კაპიტალი შეძლებდა წარმატების მიღწევას. დილეტანტები, ჩვეულებრივ, ვარდებიან საბირჟო ვაჭრობიდან ან რიგი წაგებების ან ერთი მსხვილი კატასტროფული წაგების შემდეგ. ხშირად, მას შემდეგ რაც დილეტანტი სრულიად ამოწურავს თავის სამარჟო ანგარიშს, ბაზარი მოტრიალდება 180 გრადუსით და წავა იმ მიმართულებით როგორც დილეტანტს ჰქონდა გათვლილი. იგი გულშეწუხებული ფიქრობს, რომ უფრო დიდი სამარჟო ანგარიშისას შესძლებდა ერთი კვირა მაინც გაეძლო ბაზარზე და მას ვერაფერი შეუშლიდა ხელს დაპატრონებოდა დიდ თანხას.